პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნიზმის სხივი

1990 9 იანვარი სამშაბათი

№4 (6231)

ფასი 8 კაპ.

გაზეთი დაარსდა 1938 წლის 10 მაისს

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

КОМУНИЗМИС СХИВИ орган Цагерского райкома КП Грузии и райсовета народных депутатов

წლის დამდეგი

დღეგიდანვე —

ორგანიზებული

შრომა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. გუმბარიძის გამოსვლა რესპუბლიკური ტელევიზიით

შიდა ქართლში, თბილისსა და ზოგიერთ სხვა რაიონში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ახალ გართულებასთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის 5 იანვარს საქართველოს ტელევიზიით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.

თავის გამოსვლაში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გასული წლის დამლევს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე, სადაც გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი გარდაქმნის პროცესების, დემოკრატიზაციის, რადიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების დაჩქარების გზაზე, საქართველომ პრინციპული გამარჯვება მოიპოვა. სულიერად აღორძინდნენ, ამაღლდნენ საქართველო, ქართველები, რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა, რომლებსაც საფუძველი ჰქონდათ იმედიანად შეხვედროდნენ ახალ წელს, ერთმანეთისათვის სიმშვიდე, მხნეობა და შემდგომი გამარჯვებები ესურვებინათ.

სამწუხაროდ, ახალი წლის პირველი დღეებიდანვე კვლავ უკიდურესად დაიძაბა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, რასაც ბიძგი მისცა ცხინვალის რაიონში მომხდარმა ახალმა დრამატულმა მოვლენამ.

მოსახლეობასთან, დაღუპულ ბავშვის მშობლებთან, ახლო ნათესავებთან შეხვედრებმა, შიდა ქართლში, გორის რაიონში, შემდეგ კი თბილისში გამართულ ხალხმრავალ მიტინგებზე გამოსვლებმა, ცხინვალიდან, ზნაურიდან, გორიდან ჩამოსულებთან შეხვედრებმა კიდევ უფრო დაგვარწმუნა იმაში, რომ სამწუხაროდ, არიან ძალები, რომლებიც არაფერს არ ერიდებიან, ხალიდან არ უშვებენ არც ერთ შემთხვევას, რათა დაარღვიონ სიმშვიდე ქართულ მიწა-წყალზე, გამოიწვიონ დესტაბილიზაცია რესპუბლიკაში, შექმნან კრიზისული კატასტროფული ვითარება, დაუპირისპირონ ერთმანეთს ხალხები და დაღვარონ სისხლი.

იმას, ვინც ნებით თუ უნებლიედ ხელი აღმართა თოთოს ბავშვზე. სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა მისი მშობლები—ქართველი მამა და ოსი დედა, არავითარი შენდობა არ ექნება. მიმდინარეობს სპეციალური გამოძიება, რომელიც უახლოეს ხანს დაადგენს ჭეშმარიტებას, მიაგნებს ბრალეულთ, რაც მოხსენდება საზოგადოებრიობას.

რაც შეეხება დღევანდელ დღეს, რეგიონში სრული სიმშვიდის დასამყარებლად ხორციელდება საგანგებო ღონისძიებანი, სრულდება წესრიგის დაცვისა და პატრულირების ახალი სქემა, ამოქმედებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დამატებითი ძალები, განსაზღვრულია მათი დისლოკაცია, დადგენილია სიტუაციის შესატყვისად მოქმედების წესი, დასახულია და ხორციელდება საგანგებო ღონისძიებანი იარაღის ამოსაღებად.

გ. გუმბარიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოვლენათა სტიქიურ განვითარებას ბოლო მოეღება, ხორციელდება გადამჭრელი ღონისძიებანი ყველა თვითმოქმედი შტაბისა და პიკეტის მოსაშლელად. მდგომარეობის ნორმალიზაცია უწინარეს ყოვლისა სახელმწიფო ორგანოების ვალი და მოვალეობაა. ამ თვალსაზრისით რიმე დათმობა გამორიცხულია. ხელისუფლების ორგანოების ამგვარ ძალისხმევას საზოგადოებრიობის სრული გაგება და მხარდაჭერა სჭირდება. რესპუბლიკურ ორგანოებს აქვთ ყველა საჭირო ძალა წესრიგის დასამყარებლად, გარდაქმნის პროცესების, დემოკრატიზაციის წინ წაწევისათვის. რაც უნდა სავსებით გასაგები ემოციები ამოძრავებდეს ადამიანებს, წესრიგის დამყარება მთლიანად უნდა მივანდოთ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს.

გამოსვლაში განსაკუთრებით გაესვა ხაზი იმ აზრს, რომ, როცა რეგიონში ხორციელდება საჭირო კონკრეტული ღონისძიებანი, როცა მუშაობს საქართველოს უზენაესი საბჭოს უკანასკნელი სესიის მიერ შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საპარლამენტო კომისია, როცა უაღრესად დაძაბული ვითარებაა ამიერკავკასიის რეგიონში, სადაც მოშლილია ასობით კილომეტრი სასაზღვრო ზოლი ირანთან, რასაც ყველანი ჩვენ სერიოზულად უნდა ჩავუფიქრდეთ, როცა სულ უფრო ღრმავდება საზოგადოების სხვადასხვა ფენის კონსოლიდაციის პროცესი, ასეთ პირობებში საეჭვოა სწორი იყოს აქცენტი ძალისმიერ მეთოდებსა და უკიდურესად რადიკალურ მოქმედებებზე, მოეწყოს გაფიცვები, ეროვნული კუთვნილების მიხედვით გაითიშოს შრომითი კოლექტივები.

გ. გუმბარიძემ გამოთქვა რწმენა, რომ საზოგადოება არ აჰყვება ამგვარ პროვოკაციებს, რომლებსაც მხოლოდ ანარქიამდე, უმართავ პროცესებამდე მივყავართ და წყალს ასხამს სხვის წისქვილზე. რესპუბლიკას აქვს ყველა საშუალება, რათა საზოგადოებრიობის მხარდაჭერით ჯეროვანი წესრიგი დაამყაროს რესპუბლიკაში. ამ საქმეში საუკეთესო სამსახურს გაგვიწევს სიბრძნე, წინდახედულება და ორგანიზებულობა. ეს საჭიროა ყველგან, განსაკუთრებით საქართველოს დედაქალაქში. დემოკრატიული განახლების გზით სიარული შეგვიძლია მხოლოდ ყველას ერთად, როცა თითოეულ ჩვენს ნაბიჯს ვუხამებთ რეალურ ვითარებასა და რეალურ შესაძლებლობებს, ვავლენთ და ვაერთიანებთ ხალხის შემოქმედებითსა და აღმშენებლობითს ძალებს გარდაქმნის პლატფორმაზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიაში

საკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისია განაგრძობს 30-40-იანი წლებისა და 50-იანი წლების დამდეგის პერიოდში მომხდარ რეპრესიებთან დაკავშირებული მასალების დამატებით შესწავლას.

გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 3 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულია იმ პირთა სია, რომლებიც 1989 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის წინადადებით რეაბილიტირებული იყვნენ პარტიული თვალსაზრისით (სიკვდილის შემდეგ). მათ შორისაა ცაგერის რაიონიდან:

ე. გ ხუბუკელაშვილი— ცაგერის რაიაღმასკომის კომუნალური განყოფილების უფროსი.

რა მოგვიტანა იჯარამ?

ანუ სამეურნეო ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობის ლოგიკური შედეგი

დამთავრდა, დაგვემშვიდობა განვლილი 1989 წელი და ერთი კვირაა, რაც მუხლი გაიმართა ახალმა 1990-მა. ამ გადასახედიდან უფრო კარგად ჩანს, ვინ როგორ გაისარჯა ქართველი ხალხისთვის ამ ავად მოსაგონარ წელს, ამ შეჭირვების ჟამს ვინ რა წვლილი შეიტანა რაიონის ეკონომიკაში. რამეთუ ეს უკანასკნელი ფუძე და ბალავერია იმ შორს გამიზნული ოცნებისა, რასაც საქართველოს დამოუკიდებლობა ჰქვია და რესპუბლიკის მშრომელები ასე რომ ესწრაფვიან.

საბედნიეროდ რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს შორის არიან ისეთები, რომლებსაც თავმოსაწონებელი შედეგები აქვთ, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ისეთი საზოგადოებრივი მეურნეობებიცაა, რომელთა ხელმძღვანელებმა გულგრილად შეხედეს საქმეს და ისეთ მნიშვნელოვან დარგებში, როგორიცაა რძისა და ხორცის სახელმწიფოსათვის მიყიდვა, წლის საგეგმო დავალებები შეუსრულებელი დატოვეს.

გასულ წელს რაიონში სულ ოთხი საზოგადოებრივი მეურნეობის მეცხოველეობის ფერმა გადავიდა ოჯახურ იჯარაზე. მათ შორისაა ლაილაშის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმა, რომელიც ფაქტიურად-დაიშალა და მოსახლეობაში იჯარით 305 სული პირუტყვი გასცეს, გასცეს და ამით თითქოს დიდი ტვირთი მოაშორა კოლმეურნეობის გამგეობამ. იფიქრეს, პირუტყვს პატრონი გავუჩინეთ და ხორცისა და რძის სახელმწიფოსათვის მიყიდვის საგეგმო დავალების შესრულებას წინ რაღა დაუდგებაო, მაგრამ უყურადღებობამ, წინ გაუხედაობამ და პასუხისმგებლობის მოდუნებამ თავისი შედეგი აჩვენა, კოლმეურნეობამ წლიური გეგმით გათვალისწინებული 640 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს 327 ცენტნერი ხორცი მიჰყიდა და წლიური გეგმა 51,2 პროცენტით შეასრულა. ეს მაშინ, როცა წინა წლის შესაბამის პერიოდში, ვიდრე შრომის ორგანიზაციის ეს ახლებური ფორმა დაინერგებოდა, სახელმწიფოს 623 ცენტნერი ხორცი მიჰყიდეს.

იქნებ რძის სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმის შესრულებას უშველა იჯარამ? არც აქ. აქვთ წლიური გეგმა შესრულებული, ანდა რაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, როცა გეგმა 62, 2 პროცენტითაა შესრულებული, თუ შევადარებთ წინა წლის შედეგებს, აქაც 237,8 ცენტნერით ნაკლები რძეა მიყიდული.

ახლა ვნახოთ უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობას რა მისცა იჯარამ. აღნიშნული ფერმიდან წინა წელს 83 ჯიშიანი პირუტყვი გასცეს, გასცეს და მოიშორეს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, მეცხოველეობის ფერმაში აკლიმატიზებული პირუტყვი საკარმიდამო მეურნეობაში ზოგი დაეცა, ზოგიც იძულებით დაიკლა, საბჭოთა მეურნეობას გაცემული პირუტყვის სრული რაოდენობა უზის ბალანსზე, რადგან მოსახლეობისაგან იმავე რაოდენობის ხორცს სამაგიეროდ ელოდებიან. ელოდებიან, მაგრამ...

სწორედ ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ აქაც გაუჭირდათ ხორცისა და რძის წლიური გეგმის შესრულება და 86 პროცენტით ხორცის დამზადების გეგმა აქვთ შესრულებული, 52,6 პროცენტით კი—რძისა.

რით ავხსნათ ჩამორჩენა? იჯარას დავაბრალოთ? პირიქით, იჯარა საუკეთესო ფორმაა. იჯარის გონივრული, მეურნეობრიობრივი გაძღოლით ურთიერთსახელშეკრულებო ვალდებულებების დაცვით, საქმისადმი გულშემატკივრული მიდგომით მოგება უნდა მოეტანა, ყოველ შემთხვევაში ასეა სხვაგან და აღნიშნულ მეურნეობებს რაღა დაემართათ? თუ არა ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდობა—ერის იმედი, ერის მომავალი

სოფელს უდგანან ბალავრად

მინდა ერთ ახალგაზრდა ოჯახზე მოვითხრობთ. არაჩვეულებრიობა ამ ოჯახისა შეიძლება მხოლოდ მათ შრომით საქმიანობაში, პატიოსნებაში გამოსჭვიოდეს. ერთი შეხედვით, კაცმა შეიძლება თქვას, რა არის არაჩვეულებრივი შრომაშიო, მაგრამ დღეს შრომა მართლაც რომ არაჩვეულებრიობად იქცა, რადგან ბევრი როდი იწუხებს თავს, ისევ და ისევ მოხუცი ხალხი, შრომის ფასის მცოდნენი, თორემ...

თუმცა არც მთლად ასეა საქმე, საბედნიეროდ, გვყავან ახალგაზრდები, რომლებსაც უყვართ შრომა, სოფელი. მათ რიცხვს ეკუთვნიან წიფერჩელი ჯონი და ციცინო ნემსწვერიძეები, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი. ოჯახს გაპიროვნებული აქვს 0.2 ჰექტარი სასიმინდე ფართობი, 0.1 ჰექტარი ვენახი. საიდანაც ჩვეულებისაებრ შარშანაც კარგი მოსავალი მიიღეს. ყოველწლიურად კვებავენ აბრეშუმის მურს, უფლიან კოლმეურნეობიდან იჯარით გაყვანილ მსხვილფეხა პირუტყვს.

რაოდენ გულსატკენია, რომ სოფლადაც იშვიათად ნახავ ოჯახს, რომელსაც ორზე მეტი შვილი ჰყავდეს. არადა სწორედ ახლაა შვილთა სიმრავლე საჭირო და აუცილებელი. იქნებ რიცხობრივად რომ მცირენი ვართ, ეს ათამამებს მტერს და ამიტომაც აულესია ჩვენზე ნიჩბები.

ორ ვაჟს უზრდიან საქართველოს ციცინო და ჯონი. იცის ციცინომ, რომ დღეს, როგორც არასდროს, ისე უჭირს მამულს. ჯერ ერთი ჭრილობა არაა მოშუშებული და, მეორემ, მესამემ წამოჰყო თავი. ხსნა კი ერთობაშია, გამრავლებაშია მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა, ეს კარგად აქვს შეგნებული ორი შვილის დედას და იმედია ორს არ დასჯერდება.

მივულოცოთ დამდეგი 1990 წელი ახალგაზრდა ოჯახს, შვილებს რომ უზრდიან მამულს. პატიოსნად რომ შრომობენ, სოფელს რომ უდგანან მკვიდრ ბალავრად.

შ. ხეცურიანი.

წიფერჩის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

დასაწყისი კარგია

წავიდა 1989 წელი, ტკივილებით, ცრემლით სავსე, თითოეული ქართველისათვის ნაცარმიუყრელი ორი თარიღით—9 აპრილითა და 24 დეკემბრით. გაზაფხულის იმ დილაალიონს ჩვენ უმანკო თანამემამულენი დაგვიხოცეს, 24 დეკემბერს კი მუშტად შეკრულნი, სუნთქვაშეკრულნი, დაძაბული ნერვებითა და ტკივილით ავმაღლდით ჯალათებზე, თუმც გზა საბოლოო სიმართლისაკენ კვლავ წინაა, გზა თავისუფლებისაკენ კი ნაღმებით დამუხტული...

ახალმა წელმა წმინდა გიორგის ოთხ ბედაურზე ამხედრებულმა შემოაბიჯა ჩვენს მამულში, ჩვენს სულში. დიდი ხანია თავისუფლებისათვის მებრძოლი მერანია საქართველოს ხატება და იმედიც გვესახება.

ახალგაზრდობა, მათი გაბედულება და ემოციებიც კი სჭირდება დღეს მამულს, ახალგაზრდობა და მისი მკლავი, მისი მგზნებარე გული, დაუოკებელი სწრაფვა.

კარგი გოგონები არიან ცაგერის ადგილმრეწველობის კომბინატში, ჭკვიანი, სწორად მოაზროვნეები. ცხოვრებამ და ერის ხვალინდელმა დღემ ყველა პოლიტიკაში ჩაგვითრია. გოგონები ამბობენ, ბევრ ძველგაზრდას, განსაკუთრებით უძრაობისა და მშვიდი ცხოვრების მოყვარულს, დიდხანს რომ შეინარჩუნოს პოსტი, არაფერი სწამს ჩვენი: „თვითონაც არ იცით რას აკეთებთ“, „თქვენ დაღუპავთ საქართველოს“, „თქვენი გაკეთებული ჯერ არაფერი გვინახავსო“ და ვინ მოთვლის, რა ეპითეტებით არ გვამკობენო. ამიტომ ესმით, რომ შრომა და მხოლოდ შრომაა საჭირო, რომ ნდობა და სახოგადოების მხარდაჭერა მოიპოვონ.

გოგონებმა გასული წლის დეკემბერში ასე მოიფიქრეს—ცალკე შეექმნათ ახალგაზრდული ბრიგადა. ეს უფროსი კოლეგებისაგან განდგომას კი არ ნიშნავს, პირიქით, მათთან საქმიან პაექრობას, პროდუქციის უკეთეს ხარისხსა და რაოდენობას. 15 ახალგაზრდა მკერავი გაერთიანდა ბრიგადაში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ირმა ფოჩხიძე. ინიციატივიანი გოგონა, კარგი გოზარი და საქმის მოყვარული, პრინციპული და ობიექტური.

ახალგაზრდული ბრიგადის ჩამოყალიბების მიზანი ის არის, ხსნიან გოგონები, რომ უფრო ნათლად დავინახოთ ჩვენი წვლილი საერთო წარმატებაში.

შარშან კომბინატმა ვერ უზრუნველყო სამრეწველო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალების შესრულება. მიზეზები ბევრია: ნედლეულის არარიტმული მოწოდება, საკერავი მანქანების სიძველე, სუბიექტურიც დაერთო, რა თქმა უნდა. წელს არ უნდა მოხდეს შეფერხებებით და ხარვეზებით მუშაობა. მით უფრო აქ წარმოებულ პროდუქციაზე —თეთრეულზე არის ნორმალური მოთხოვნილება და ჩაწოლა არ ემუქრება საქონელს.

და შრომობენ გოგონები მთელი გულმოდგინებით. მათი პირობა ასეთია—იანვრის თვის დავალება, რომელიც 60 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვებას ითვალისწინებს, ვადამდე შეასრულონ, და, რაც მთავარია, არც ერთი ცალი არ იყოს წუნიანი პროდუქცია. სულ წლის მანძილზე გამოუშვებენ 720.000 მანეთის პროდუქციას. კიდევ ერთი საიდუმლოება გამანდეს—ახალი ასორტიმენტის წარშოებაში ჩაშვება აქვთ განზრახული.

სასიკეთო მიზნებით დაიწყეს ახალი წელი ახალგაზრდებმა. ახლა მათ ხელშეწყობა და თანადგომა, შრომის სათანადო გარემო სჭირდებათ და ჩანაფიქრს კონკრეტულ საქმეებად დაგვიბრუნებენ.

მ. ძნელაძე.

ПОЗИЦИЯ

რაზომ არ შევდივარ კომკავშირში?

28 ნოემბერს გაზეთ „კომუნიზმის სხივში“ დაიბეჭდა ლაჯანის სკოლა-ინტერნატის მეათე კლასელის ნუნუ ლარცულიანის წერილი სათაურით: „რას უნდა მოველოდეთ კომკავშირისაგან?“ რეში მიზანი ამ წერილის გაჩნილა არაა, უბრალოდ, მინდა საკუთარი აზრი გამოვქვა კომკავშირის შესახებ.

პირადად, მე, კარგა ხანია, თოხმეტი წლის გავხდი, მაგრამ კომკავშირელი არა ვარ. საქმე იმაშია, რომ მე თვითონ გავიცხადე უარი მის რიგებში შესვლაზე. ალბათ მკითხავთ, რატომ, რა მიზეზი იყო. კომკავშირმა რომ ავტორიტეტი დაკარგა, ამას მტკიცება აღარ სჭირდება, მაგრამ მარტო ავტორიტეტის დაკარგვას, ასე თუ ისე შეეგუებოდა კაცი, კომკავშირს ავტორიტეტთან ერთად თავისი ფუნქციაც რომ არ დაეკარგა. ახლა კი ცდილობს დაკარგული სახელის აღდგენას, მაგრამ ჩვენს დაკარგულ რწმენას რა აღადგენს? ამ გრძნობას ის უფრო ამძაფრებს, რომ ცხრა აპრილელი ჯარისკაცები კომკავშირელები აღმოჩნდნენ.

კომკავშირში შემსვლელთა რიცხვი თანდათან იკლებს, თუმც კომკავშირისადმი აგრესიულად განწყობილთა უმრავლესობაც, ასე ვთქვათ, ფეხის ხმასაა აყოლილი. რა დასამალია და ზოგიერთ მათგანს რომ ჰკითხო, კომკავშირში რატომ არ შედიხარო, ვერც გიპასუხებს, ან რა უნდა გიპასუხოს, რაც არ იცის. გამორიცხული არაა, რომ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ მეც ასეთი ფეხისხმასაყოლილი ანტიკომკავშირელი შეიძლება მიწოდოს ვინმემ, მაგრამ არა.

არც თუ დიდი ხნის წინ, ცხრა აპრილამდე, ჩვენს თანატოლებს მიტინგებსა და სხვა ღონისძიებებზე რომ საქართველოს სამფეროვანი დროშა ეჭირათ, სკოლაში ასე „ანამუსებდნენ“: არა გრცხვენიათ, კომკავშირელები მაინც არ იყოთო.

თუ კომკავშირი თავის სიტყვას საქმით დააგვირგვინებს, მაშინ ალბათ ვერავინ დამასუხებს, ან ვინ ბრალს დამდებს, ან ვინ ბრალს ვინ ბრალს, ან ვინ ბრალს ... ბრალს, ან ... ბრალს, ... ბრალს, ... ბრალს,

შიდა ქართლის მოვლენების გამო

შემზარავი სისასტიკე

ის, რაც 3 იანვრის ღამეს მოხდა ცხინვალის რაიონის სოფელ ფრისში, იმდენად შემზარავია თავისი სისასტიკით, იმდენად შემაძრწუნებელია, რომ აღწერა მიუჩირს, (როდესაც ამ ამბავს ისმენდნენ, თვით მრავლისმხილველმა ჟურნალისტმა მამაკაცებმა ცრემლი ვერ შეიკავეს): ნიკორიშვილების ოჯახს თავს დაესხა შეიარაღებული ბრბო და... აკვანში ტყვიით მოკლეს 9 თვის თოთო ბავშვი (გორის საკავადმყოფოში ჩაყვანილი თავში მძიმედ დაჭრილი ჩვილის გადარჩენა ვერ მოხერხდა).

კიდევ ერთი ბარბაროსული აქტი! ჯერაც არ გაციებულა 17 წლის თამარაშენელი ჭაბუკის ვეფხია თუთარაშვილის სისხლი და აი, კიდევ ერთი მსხვერპლი. ჯერაც არ შემშრალა ჯგუფურად გაუპატიურებული და მხეცურად ნაწამები ქართველი გოგონას ცრემლები და კიდევ ახალი დანაშაული!..

და აივსო მოთმინების ფიალა. გუშინ, 4 იანვარს, სამართლის საძიებლად თბილისს მოაშურა ერედვის, ქურთის, ქემერტის, ფრისის და სხვა სოფლების ხალხმრავალმა წარმომადგენლობამ, 150-ზე მეტმა ქალმა, კაცმა, ახალგაზრდამ და მოხუცმა. ისინი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამოძცემლობას მოადგნენ და პრესის მუშაკებთან შეხვედრა მოითხოვეს.

ეს შეხვედრა „კომუნისტის“ სათათბირო დარბაზში გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ რესპუბლიკური გაზეთების რედაქტორები, სახტელერადიოს ხელმძღვანელი მუშაკები, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების, სახალხო ფრონტის, წმინდა ილია მართლის საზოგადოების, ჰელსინკის ჯგუფის, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები და ჟურნალისტები.

გაიმართა მღელვარე, უკომპრომისო საუბარი. შიდა ქართლიდან ჩამოსულებმა იქ ქართველთა ყოფის ძალზე მძიმე სურათები წარმოგვიდგინეს.

გიორგი ქრისტესიაშვილი, ხანდაზმული, მრავალჭირგამოვლილი კაცი აღელვებას ვერ ფარავს: დიდი გასაჭირი გვდგას ქართველებს, ფაქტობრივად, უუფლებონი ვართ. ოსი ეროვნების მილიციის მუშაკები თვითონვე მონაწილეობენ ჩვენზე თავდასხმებში. შიშით ცხინვალში ვერ ჩავსულვართ. იქიდან ვერავითარ სურსათს ვერ ვიღებთ, ყველაფერი ოსურ სოფლებში ნაწილდება. გორის რაიონი რომ არ გვეხმარებოდეს, შიმშილობა მოგვიწევს. დაეხეტებიან ავტომატებით და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული ჯგუფები. 3 იანვარს სროლით თავს დაესხნენ სოფელ ხეითს, კეხვი, ქურთა, ძარწემი და სხვა სოფლები ლამის ალყაშემორტყმულია.

ლალი ცოტნიაშვილი: განა ფრისში მომხდარი ამბავი გამონაკლისია? პირველ იანვარს თავს დაესხნენ და სროლა აუტეხეს ერედველ ფრიდონ ბორცვაძეს, რომელსაც მანქანით ცოლ-შვილი მოჰყავდა. ტყვია დაახალეს ვიგენტი ქრისტესიაშვილის მანქანასაც. ორივე სასწაულით გადარჩა. ცხინვალის რადიო კი ისეთ ცნობებს გადასცემს „ქართველთა მხეცობაზე“, რომ ხალხს სისხლს უმღვრევს.

ლალი ბალიაშვილი: მე ცხინვალელი ვარ, მაგრამ ახლა ქმარშვილით ერედვს შევეხიზნე. გვაშინებენ, მე თვითონ, შვილთან ერთად მომავალს, გადამიდგნენ გზაზე, რევოლვერი მიადეს მკერზე ჩემს ბიჭს და ჩახმახს გამოჰკრეს. არ გავარდა, დაუტენავი ყოფილიყო, მაგრამ ერთი სიკვდილი გავათავე. სამჯერ დაესხნენ თავს პირველ ქართულ სკოლას. არ ვიცი, რა გზით, მაგრამ ფაქტია, რომ ჯავშანტრანსპორტიორებს ჯარისკაცებთან ერთად ექსტრემისტებიც დააგრიალებენ. ყოველღამ სროლაა.

ჟუჟუნა კასრაძე: როდესაც 23 ნოემბერს თბილისელები ჩამოვიღნენ ცხინვალში, საკმელი გადავუტანე მშიერ ყმაწვილებს. ეს გაიგეს და სიცოცხლე ჯოჯოხეთად მიქციეს. იძულებული ვიყავი ერედვში გავიხიზნულიყავი. ახალი წლის გათენება მაინც ცხინვალში, ჩვენს სახლში გადავწყვიტეთ მე და ჩემმა ქმარმა. მაგრამ 2 იანვარს საღამოს, ისეთი სროლა ატეხეს ჩვენს ფანჯრებთან, რომ გონს ჯერაც ვერ მოვსულვარ.

მიხეილ ქრისტესიაშვილი: 27 ნოემბერს რამდენიმე შეიარაღებული კაცი დავაკავეთ, იარაღი ჩამოვართვით და ჩვენს მილიციას ჩავაბარეთ. მერე რა, ადგნენ და გამოუშვეს. ჰოდა ისე არიან გათამამებულები მიმტევებლობით, რომ ხვალ უარესს გვიზამენ.

ლიანა ზუბაშვილი: ჩემი მაზლი სვეასტი ზუბაშვილი დაჭრეს. გორში ჩავიყვანეთ საავადმყოფოში. მეორე დღეს ცხინვალის რადიომ გამოაცხადა, ქართველებმა კიდევ ერთი ოსი სეევერიან ზუბაევი დაჭრესო, ასე, კიდევ ერთით გაიზარდა „დაზარალებული“ ოსების რიცხვი.

ლილი ბერუაშვილი ცრემლებს ვერ იკავებს: ჩემი სახლიდან ყოველდღე ოთხი კაცი გადის. არ ვიცი ცოცხლები დამიბრუნდებიან თუ არა. მეტი რა ძალი მაქვს, მეც მათთან ერთად ვდგავარ—სადაც ისინი, იქაც მე, თუ სიკვდილია. მათთან ერთად მოვკვდე. ასე - დღენიადაგ შიშში ცხოვრება აღარ შეიძლება. ჩვენი მთავრობა, ჩვენი მილიცია კი ფეხს ითრევს, არაფერში გვეხმარება. გვიშველეთ, ხალხო!

ციხანა ვახტანგაშვილი: „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადაში ვმუშაობ სანიტრად. თვითონ ვნახე იმათ „თავდაცვის შტაბში“, რომელიც ცხინვალის ქორწინების სახლშია მოთავსებული, საშინლად ნაცემ-ნაგვემი ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც შემდეგ ტელევიზიითაც უჩვენეს.

ნათელა ბაღაშვილი: ცხინვალში ქართველთა დევნა და აბუჩად აგდება ყოველგვარ საზღვარს გადასცდა. 20 ნოემბერს ავად გავხდი, ექიმი გამოვიძახე. რომ გაიგო ქართველი ვიყავი, არც იმ, და არც მეორე დღეს არ მოვიდა, ჩემს მეზობელ ოსთან კი სასწრაფოდ გამოცხადდა. ბიბლიოთეკაში, სადაც ვმუშაობ, კატეგორიულად ამიკრძალეს რაიმეზე ხელის ხლება, ქართულად რაიმეს შევსება. ყველა ჩემს ქართველ მეზობელს სარდაფი გაუძარცვეს.

გივი ბორცვაძემ, საქართველოს ტელევიზიის კორესპონდენტმა სამხრეთ ოსეთში, დაახასელა დისკრიმინაციული საკადრო პოლიტიკის მაგალითები. ხაზგასმით აღნიშნა, რომ როკის გვირაბით ჩრდილოეთ ოსეთიდან დიდძალი იარაღი შემოდის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილეს **ვახტანგ გვარამიას,** რომელიც შეეცადა შეკრებილთათვის წარმოედგინა სამხრეთ ოსეთში შექმნილი ოპერატიული ვითარება, სინანული გამოთქვა, რომ ქართველები თავდასხმის, შეურაცხყოფის შემთხვევაში ყოველთვის არ მიმართავენ მილიციას იმისათვის, რომ ყველა შემთხვევა დაფიქსირდეს. სიტყვა შეაწყვეტინეს რეპლიკებით, რომ იქ მილიციამდე მისვლაც კი ჭირს, სამხრეთ ოსეთის მილიციელ მუშაკებს ქართველთა დაზარალების დაფიქსირებას, რომ, საერთოდ, საქართველოს მილიცია საკმაო უსუსურობას იჩენს, რომ ჯერ არსად ჩანს ერედველთათვის დანაპირები საველე ლაზარეთი, რომ თვით მაიორი გია სანაკოევი, რომელმაც ქართველი დაჭრილი მილიციის მუშაკი შეურაცხყო, ჯერაც ფორმით დადის...

ერთი სიტყვით, შიდა ქართლში შექმნილი ვითარების ისეთი მდგომარეობა [illegible] ელმაც ჯერ შეიძლება არ [illegible] რას. ჩამოსულ[illegible] აყენეს იქ მცხოვრებ ქართველთა მოთხოვნა: მდგომარეობა უაღრესად კრიზისულია. სათანადო ორგანოები შეუწყნარებელ უმოქმედობას იჩენენ, არ კმარა ცარიელი დაპირებები, და ცალკეული ღონისძიებები, რესპუბლიკის მილიციამ თავის ხელში უნდა აიღოს მდგომარეობის მართვა ცხინვალში. უნდა გაუქმდეს იქ არსებული ეგრეთ წოდებული „თავდაცვის შტაბი“...

საუბარში მონაწილეობა მიიღეს ზვიად გამსახურდიამ, ელიზბარ ჯაველიძემ, აპოლონ სილაგაძემ, მინდია უგრეხელიძემ, გიორგი გაჩეჩილაძემ, გურამ ყორანაშვილმა, რამინ ჭელიძემ, მარინე თექთუმანიძემ, ლევან თოფურიძემ, ვალერი კვარაცხელიამ, ვლადიმერ გოგოლაშვილმა და სხვებმა.

ითქვა, რომ რესპუბლიკის პრესა, რადიო და ტელევიზია მოსახლეობას ვერ აწვდიან ამომწურავ და ოპერატიულ ინფორმაციას შიდა ქართლში შექმნილ ვითარებაზე. საკავშირო პრესაში ცალმხრივი, უპირატესად დეზინფორმაციული მასალები იბეჭდება. ქართველმა ჟურნალისტებმა მიმართვა გაუგზავნეს რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს და მინისტრთა საბჭოს.

ალეკო ასლანიშვილი.

* * *

როგორც ჩვენმა კორესპონდენტმა გურამ ვაშაკიძემ გვაცნობა, რომ ოსმა ექსტრემისტებმა მოკლეს 9 თვის ქართველი ბავშვი, გული აუტირდებოდა. როგორ, ნუთუ მართლა არა გვაქვს უფლება ჩვენს საკუთარ მიწა-წყალზე სიარულისა. რატომ ავიწყდება ოს ხალხთა ნაწილს (და არა ყველას), რომ ისინი ცხოვრობენ ქართულ მიწაზე, რომ დღემდე მხოლოდ და მხოლოდ მეგობრობა, ძმობა და ახლობლობა გვაკავშირებდა, რომ ოს ხალხთან კეთილმეზობლური და კეთილმოსურნე ურთიერთობის ტრადიციული წარსული გვაკავშირებდა და გვაკავშირებს. განა ჩრდილოეთ ოსეთის მეფის ასული ბორენა საქართველოს დედოფალი არ გახდათ II-საუკუნის მიწურულს? განა თამარ მეფეს ქმრად ჩრდილო ოსეთის მეფისწული დავით სოსლანი არ მოჰგვარეს?.. დღესაც რამდენ ოსს ჰყავს ქართველი მეუღლე და პირიქით.

—მაშ რა ხდება? ვინ არის ალან ჩოჩიევი და რას წარმოადგენს „ადამონ ნიხასის“ ორგანიზაცია, რომელმაც ძმათა შორის შუღლი და მტრობა ჩამოაგდო და რომელიც სრულიად საქართველოს მტრის წისქვილზე ასხამს წყალს? რატომ, საიდან მიიჩნევენ სამაჩაბლოს თავიანთ საკუთრებად? კარგად გადახედონ არა შეთხზულს, არამედ ნამდვილ ისტორიას როგორც თავიანთს, ასევე საქართველოსაც. ჩვენ არასოდეს დაგვიმადლებია (ჩვენდა საუბედუროდ) საქართველოს მიწა-წყალი და მასპინძლობა. მაგრამ, რადგანაც გვაიძულებენ შევახსენებთ რანი ვიყავით და რ.ნ. ვართ: რომ „ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში ქართველი ხალხის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც საკუთრივ ქართველი ტომები, ასევე მათი მონათესავე თუ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე სხვა, არამონათესავე ეთნიკურ ერთეულთა წარმომადგენლებიც, რომელთა მწიგნობრობის, ეკლესიისა და კულტურის ენად ქართული ენა იყო ქცეული“ და რომ „მერვე საუკუნის მიწურულიდან, განსაკუთრებით კი მე-9-11 საუკუნეებში, ქართულ ენას ეგრისაფხაზეთის მეფეები ავრცელებდნენ და ქრისტიანობასთან ერთად ამკვიდრებდნენ რიგორც ეკლესიის ენას ჩრდილოეთ კავკასიაში, ჩერქეზებსა და ალანოსებში“. (საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. 11. გვ. 26-ე და 27-ე). ხოლო ისტორიულად ცნობილია, რომ როდესაც მონღოლთა შემოსევები მომძლავრდა ჩრდილოეთ კავკასიაში (ამ დროისათვის ოსთა სამეფოს ძლიერება შერყეული იყო) მტერთაგან დევნილი ოსები თანდათანობით, ნაწილ-ნაწილ მოადგნენ საქართველოს, დაიწყეს ადგილებისა და ქონების დატაცება და განსახლება. არ ზოგავდნენ თვით ერისთავებსაც კი. ივ. ჯავახიშვილის მესამე ტომში ვკითხულობთ „ჯერ კიდევ მაშინ, როცა დავით მე-6 მეფედ დამტკიცებული არ იყო და საქართველოში არც კი იმყოფებოდა, ქედს აქეთ გადმოსულთ ოსთა იწყეს ოფრებად, ფოცად და რბევად და ტყუენვად ქართლისა“ (ლაპარაკია ჩრდილოეთ ოსეთის ხალხზე, რადგანაც სამხრეთ ოსეთი საერთოდ არ არსებობდა). გათამამებულ ოსთა თარეში განსაკუთრებით გაძლიერდა მე-14 საუკუნის პირველ ათწლეულამდე დავით მე-6 გამეფების შემდეგაც, მიუხედავად იმისა, რომ „ფარაჯან ოვსთა მთავარი მსახურობდა კეთილად მეფესა, როგორც საქართველოს „ყმადნაფიცი“ (იგულისხმება ისევ ჩრდილოეთ ოსეთი) ოსთა თარეში კვლავ გრძელდებოდა. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა... ახლა საკუთარ მიწა-წყალზე (სამაჩაბლოში) მცხოვრებ ქართველებს ერეკებიან: „გაეთრიეთ ღორებო, აქედანო“. ყველაფერი ვაპატიოთ „ადამონ ნიხასის“ ორგანიზაციას?! არა მგონია!

სრულიად საქართველომ, ყველა საზოგადოების წარმომადგენლებმა, რაც შეიძლება დროულად უნდა განსაჯონ განსასჯელი. თვით ოსმა ხალხმა რომელთა სხეულში ჭეშმარიტი ადამიანის გული ფეთქავს, მოსთხოვონ პასუხი მათსავე მოძმეთ. ვინც ვერ ეტევა ქართულ მიწაზე, ვინც არ შეეშნობს ქართული მიწის მადლსა და ბარაქას, ვისაც არ აქვს უნარი ქართველი ერის ღირსების დაფასებისა მათთვის გზა ჩრდილოეთისაკენ საკმაოდ ფართოა და შეუძლიათ მიბრძანდნენ, მით უმეტეს, რომ აქვთ საკუთარი სამშობლო ჩრდილოეთ ოსეთის სახით, ხოლო ვინაც შეიტკბო და შეიცნო ჩვენი სტუმარ-მასპინძლობის წესი, ვინც აფასებს ჩვენს ეროვნულ ღირსებას, მზად ვართ, კვლავ მხარი მხარს განვაგრძოთ შრომა და ცხოვრება. მათთვის საქართველო და კერძოდ, ქართლი მეორე სამშობლოა. მათთვის არავითარი შეზღუდვა არ არსებობს და არც იარსებებს, ამის გარანტიას ჩვენი კონსტიტუცია იძლევა და ქართული სული, დავითის სული, თამარის სული...

რაც შეეხება „ადამონ ნიხასის“ საზოგადოებას და მის თანამოაზრეებს მათ მოთხოვნას სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების შესახებ პროტესტს ვუცხადებ, ვგმობ მათ განზრახვას. ამის შესახებ ფიქრიც კი დანაშაულია. დროა გონს მოეგონ, ნათელი, საღი აზრი წარმოაჩინონ, თორემ დედები ტყუილად როდი ვზრდით შვილებს, დავდგებით იქ, სადაც საჭირონი ვიქნებით სრულიად საქართველოს მომავლისათვის.

დ. ბურჯანაძე,
ორბელის საშუალო სკოლის დირექტორი.

ყველაფრის პაპიეგა არ შეიძლება

ზამთარია — თოვს, ყინავს!

ვაძლიერებთ!

დიდი სიფრთხილე გვმართებს!

ზამთრის პერიოდში ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა განსაკუთრებული სირთულეებით გამოირჩევა. იმის შესახებ თუ როგორ უნდა იმოძრაოს მძღოლმა ავტომობილით დათოვლილ ან მოყინულ გზებზე ავტოინსპექციის მუშაკებს რაიონული გაზეთისა და ადგილობრივი რადიოგადაცემების საშუალებით, აგრეთვე ინდივიდუალურად ბევრჯერ გვისაუბრია. ამ თემაზე სისტემატურად ეწყობა ტელეგადაცემები, მძღოლებმა კარგად იციან, თუ რა მძიმე შედეგებს განაპირობებს ზამთრის პერიოდში საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უდისციპლინობა, მაგრამ ზოგიერთი არ იცავს ავტოინსპექციის მუშაკთა მითითებებს და საფრთხეში აგდებს თავის თავსა და სხვის სიცოცხლესაც.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ჩვენი არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, მძღოლების დიდი ნაწილი არ სარგებლობს მოცურების საწინააღმდეგო საშუალებებით. ცხადია ისინი ამით აფერხებენ ტრანსპორტის მოძრაობას და რაც მთავარია, ქმნიან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რეალურ საშიშროებას. ასეთი შემთხვევები ჩვენი რაიონის სინამდვილეში დაგვანახა ნოემბერში პირველივე დიდთოვლობამ ‘გელავერისა და ორბელის გადასასვლელებზე, სხვა გზებსა და გზაჯვარედინებზე.

ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლმა მუხრან მიხეილის ძე დაშნიანმა 18 ნოემბერს სოფელ ბარდნალის ტერიტორიაზე მოყინულ გზაზე ვერ უზრუნველყო ავტომანქანის უსაფრთხო მართვა და შეეჯახა ელექტრო ბოძს, რის შედეგად დააზიანა სახელმწიფო ავტომანქანა. ამავე საწარმოს მძღოლმა ვალერი ანზორის ძე ახვლედიანმა არ დაიცო რა მოყინულ გზაზე მოძრაობის წესები 3 დეკემბერს ლასურიის ტერიტორიაზე მოძრაობის დროს ავტომანქანა გადააგდო ხრამში. საბედნიეროდ არცერთ შემთხვევაში ადამიანთა სერიოზულად დაზიანებას ადგილი არ ჰქონდა, სახელმწიფო ავტომანქანები კი ძლიერ დაზიანდა. ზოგიერთი მძღოლი, განსაკუთრებით ფულს დახარბებული, არ ერიდება გზის სირთულეებს და ორბელის თუ გელავერის გადასასვლელებზე გადაყავს მგზავრები. მართალია, საბედნიეროდ ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით არ მომხდარა, მაგრამ სულ არ მოიტანს კოკა წყალს და უნდა დავემორჩილოთ ზამთრის პერიოდში მოძრაობის რეჟიმს.

პირველი დიდთოვლობისა და შემდეგ მოყინვების შედეგად რესპუბლიკის საავტომობილო გზებზე წარმოიქმნა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რეალური საშიშროება.

შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრომ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად შეიმუშავა ერთობლივ ღონისძიებათა გეგმა „რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამავალი საერთო სახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველსაყოფად“. ამ დოკუმენტის საფუძველზე ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები.

საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს სადისპეტჩერო—საინფორმაციო განყოფილების ცნობით, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის საშუალებით ყოველდღიურად რამდენჯერმე გამოცხადდება საავტომობილო გზებზე მოძრაობის რეჟიმის ცნობა.

ამიტომ თუ გსურთ საავტომობილო გზებზე მშვიდობიანი მგზავრობა, უყრადღებით მოუსმინეთ საინფორმაციო ცნობას. აუცილებელია ატაროთ თან მოცურების საწინააღმდეგო და სახუქსირო საშუალებები, რადგან მოძრაობის გართულებული რეჟიმის დროს სახავტოინსპექციის საგუშაგოებზე არ გაუშვებენ და არც ჩვენ გავუშვებთ ამ საშუალებებით აღუჭურველ ავტომობილებს.

გახსოვდეთ ისიც, რომ იმ მძღოლთა მიმართ, რომლებიც არ დაემორჩილებიან საგზაო ნიშნებსა და ავტოინსპექციის მუშაკთა მოთხოვნებს, გატარებული იქნება ადმინისტრაციული ჯარიმების ან სისხლისსამართლებრივი ზომები მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, რაც მართვის უფლების სამ თვემდე აკრძალვას ითვალისწინებს.

ავტოინსპექციის მუშაკები ყველაფერს გავაკეთებთ საავტომობილო გზებზე რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველსაყოფად ზემდგომი ორგანოების მითითების შესასრულებლად, მაგრამ მაინც ის არის მთავარი, რომ მძღოლებმა გამოიჩინონ მოძრაობის წესებისადმი, ურთიერთისადმი მოქალაქეობრივი დამოკიდებულება, დაემორჩილონ სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკთა მოთხოვნებს, მოერიდონ ფულისგან ცდუნებას და საფრთხეში ნუ ჩააგდებენ თავიანთ თავს და სხვათა სიცოცხლეს.

რ. სალინაძე,

შინაგან საქმეთა ცაგერის რაიონული განყოფილების უფროსი სახელმწიფოავტოინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი.

როინ ნაჭყებია— სახალხო მკურნალი

მრავალი წლის ლამის იატაკქვეშა მოწყალების შემდეგ როინ ნაჭყებიას შესანიშნავ შესაძლებლობებს, ბოლოს და ბოლოს, ოფიციალური აღიარება ეღირსა. სსრ კავშირის ხალხური მედიცინის ფონდის მიერ გაცემულ მოწმობაში ნათქვამია, რომ მისი მფლობელი სახალხო მკურნალია. ხოლო დოკუმენტის ნომერი—27 მოწმობს, რომ ქართველ ესკულაპს, რომელსაც არააქვს სამედიცინო განათლება-ამ სიტყვის ტრადიციული მნიშვნელობით, ქვეყანაში ერთ-ერთ პირველს მიენიჭა ადამიანთა მკურნალობის საპატიო და პასუხსაგები უფლება.

—ჩვენს გვარში ექიმობა ოდითგან იყო საოჯახო პროფესია,— თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბრისას როინ ნაჭყებიამ.—სამკურნალო ნაყენის დამზადების საიდუმლოებანი თაობიდან თაობას გადაეცემოდა. მე ბავშვობიდანვე დავინტერესდი მცენარეების, ბალახების სასწაულმოქმედი ძალით, რომლებზეც ბაბუაჩემი მიამბობდა ხოლმე. მან შემასწავლა წამლების დამზადების ტექნოლოგია. ზაზა ფანასკერტელის „ყარაბადინი“ იმდენჯერ წავიკითხე, რომ ლამის გავცრიცე მთელი ფურცელი. ამ ფასდაუდებელ წიგნში გახსნილია ქართული ხალხური მედიცინის ბევრი საიდუმლოება, ნაამბობია სნეულებების, მათი მკურნალობის მეთოდების შესახებ. წინაპართა გამოცდილება და ჩემი საკუთარი ცოდნა საშუალებას მაძლევს სრულყოფილი შინაურული სამკურნალო ნაყენი.

დღეს როინ ნაჭყებია პაციენტებს იღებს კოოპერატიულ ფირმა „ფანასკერტელში“, რომელიც დავით აღმაშენებლის პროსპექტზე მდებარეობს. სახალხო მკურნალს მხოლოდ მასტიტის გამო როდი მიმართავენ. იგი შველის აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებს, კანის, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ჩირქოვან სნეულებებს და ა. შ.

—ნაჭყებიების წამალი იმით არის უნიკალური, რომ უოპერაციოდ და უანტიბიოტიკებოდ არჩენს ბევრ დაავადებას, ხოლო მასტიტის ნებისმიერ ფორმას სულ ოთხ-ხუთ დღეში კურნავს.

წამალმა თვალსაჩინო საბჭოთა მედიკოსების ყურადღება მიიპყრო და სწორედ მათი ინიციატივით არის წარდგენილი ხალხური მედიცინის საერთაშორისო კონკურსზე, რომელიც მომავალი წლის ივლისში გაიმართება იტალიაში.



საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ინჟინერთა ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობს ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრის დოცენტი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ვახტანგ ჭიჭინაძე, შექმნა სატრანსპორტო და ტექნოლოგიური მანქანების სისტემა, რომელიც განკუთვნილია ფერდობებზე, ტერასებზე, სხვა რთულ რელიეფურ პირობებში ციტრუსის კულტურების მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაციისათვის. იგი შედგება მონორელსური ელექტროტრანსპორტისაგან, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს 36 ვოლტი სამუშაო ძაბვის პირობებში ორი კილოვატი სიმძლავრის ელექტროძავას. მას შეუძლია გადაიტანოს 150 კილოგრამამდე ტვირთი. მონორელსური სისტემა აწარმოებს აგრეთვე ხის ტანის გაწმენდას, მცენარეთა კომბინირებულ მკურნალობას და თხევადი სასუქების ნიადაგში შეტანას.

სურათზე: ციტრუსების ტრანსპორტირება მონორელსებით. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

დედა ნორა, მამა ჯამბუ, და მთვარისა, ძმაბი ჯანო, ედვარდი, ბიძა ჯუმბერი, ბიცოლა გულნაზი, ბაბუა მიხა, ბებია პელო ბიძაშვილები ჯონი, მარიკა, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დაზმირ ჯამბუს ძე ტვილდიანი.

დაკრძალვა 11 იანვარს, ხუთშაბათს სოფ. რცხმელურში (ლენტეხის რაიონი).

მეუღლე იური, შვილები აზა, ზური, ემზარი, მზია, ია, სიძეები დემურ ნემსწვერიძე, მერაბ ხურციძე, სოსო თვარაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოლია გვიშიანი-ფოჩხიძე

დაკრძალვა 11 იანვარს, ხუთშაბათს სოფ. ალპანაში.

რაიკოოპერატივის, საზკვების გაერთიანების, პურკომბინატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნათელა სილაგაძეს დეიდის

ლუბა ვაწაძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის რაიცენტრის აფთიაქის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნათელა ცხვედიანს ბიძაშვილის

ანგი სოხაძის

გარდაცვალების გამო.

ეს საინტერესოა

ტუვის ტოჯის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მკერავი ს. ნაიახოვა შინ, სამზარეულოში იყო, როდესაც შემოსასვლელში მოესმა ხმაური. მან გამოაღო კარი და შეძრწუნდა: სახლში დათვი დაბორიალობდა. ქალმა სწრაფად ჩაკეტა კარი, ბავშვები სარდაფში გადამალა და თვითონ ფანჯრიდან გადაძვრა ქუჩაში. მისდა საბედნიეროდ შეხვდა მძღოლს, მოყვარულ მონადირეს გ. იუშინს, რომელიც მას დაეხმარა.

კარებზე დათვმა დააკაკუნა

—წელს ტაიგაში კედრის კალისა და კენკრის მოსავალი არ ყოფილა,—თქვა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. სავინმა,—გარდა ამისა, რაიონში ზაფხულის განმავლობაში ასზე მეტი ხანძარი გაჩნდა. მხეცებს საკვები დააკლდათ და იმათ ადამიანის საცხოვრებლებს მიაშურეს. მაგალითად, სოფელ სალდამში დათვი ეწვია კოოპანადირმრეწვმეურნეობის მუშაკს ა. კირპეს. ტაიგის მბძანებელთან ჭიდილში დაზიანდა სისტიგეზემის სახმრეწმეურნეობის მთავარი მონადირე ი. პლუშჩენკოვი. რაიცენტრიდან სამი კილომეტრის დაშორებით დათვებმა დაგლიჯეს სამი ძროხა...

ტუვაში ჩამოთოვა. დათვებს დაუდგათ ზამთრის ძილის დრო, მაგრამ ვერ იძინებენ. საკვების ძებნაში მშიერი მხეცები ხშირად დაძრწიან დასახლებულ პუნქტებში.

ვ. კრივდისკი,

საკდესის კორ.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, განყოფილებების: სოფლის შეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 1 ინდექსი 66539, ტირაჟი 4441

საქართველოს სსრ ბეჭდითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.